ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-3025359103**
თარიღი: **25/12/2025**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

წარმოგიდგენთ განმარტებით ბარათს 2025 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით კერძოდ:

2025 წლის 30 იანვრის N186 განკარგულებაში მიმდინარე წლის 10 დეკემბრის N2081 განკარგულებით შესული ცვლილებების საფუძველზე მუნიციპალიტეტს სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, გამოიყო 3500000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი, რომელიც მიიმართება გზებისა და ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 2781205 ლარი, ნაპირსამაგრ სამუშაოების რეაბილიტაციაზე 718795 ლარი.

2025 წლის თებერვლის თვეში მუნიციპალიტეტში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის კომპენსაციის გაცემის მიზნით საქართველოს მთავრობის 2025 წლის 22 დეკემბრის N2172 განკარგულებით გამოიყო 3500000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებაში, 2025 წლის საქართველოს მთავრობის 19 დეკემბრის N2168 განკარგულებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 427900 ლარი, რომელიც მიიმართება ჯურუყვეთის ცენტრალური გზისა და ლესის გზის რეაბილიტაციაზე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით უნდა მიიმართოს 22521 ლარი, აქედან 11000 ლარი საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების არაფინანსური აქტივების მუხლის 11000 ლარით შემცირების ხარჯზე, სულ პროექტი დამატებით დაფინანსდება 450421 ლარით.

2024 წლის 24 დეკემბრის გაფორმებული N273 ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყო 90878 ლარი.

განათლების ხელშეწყობის პროგრამის საქონელი და მომსახურების მუხლის 1730 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 1730 ლარით.

განათლების ობიექტების რეაბილიტაცია მშენებლობის სხვა ხარჯების მუხლის 100000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 100000 ლარით.

„ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა გაიზარდოს 5000 ლარით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურეობით უზრუნველყოფის პროგრამის 5000 ლარის შემცირების ხარჯზე.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლის 2240 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 2240 ლარით.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 04 აპრილის N1604/1 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებით გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოების დასაფინანსებლად გამოიყო 172279,67 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 თებერვლის N332 განკარგულებაში მიმიდნარე წლის 10 დეკემბრის N2082 განკარგულებით შესული ცვლილებით მუნიციპალიტეტს გამოეყო ფინანსური დახმარება 400000 ათასი ლარი, ფინანსური დახმარების გეგმის 400000 ლარით ზრდის ხარჯზე შემცირდეს სხვა შემოსავლების გეგმა 300000 ლარით, მათშორის ჯარიმები სანქციები და საურავებიდან შემოსავალის გეგმის 200000 ლარით, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლის გეგმა 100000 ლარით, არაფინანსური აქტივების კლებიდან (გაყიდვა) შემოსავლის გეგმა შემცირდეს 100000 ლარით.

პატივისცემით,

ეკა გუჯაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი